ადრესატი:

ირაკლი კუჭავა
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**47-472229711**
თარიღი: **24/10/2022**

.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ჯუმბერი ბერძენიშვილის

2021-2022 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **ჯუმბერი ბერძენიშვილი**

მაჟორიტარული ოლქის დასახელება; **62-01 მაჟორიტარული ოლქი (დაბა)**

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე**

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი ; **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაა. ამასთან, ვარ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრი.**

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი **საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო,,**

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში) **მაჟორიტარული წესით არჩეული დაბის ოლქში**

საანგარიშო პერიოდი: **2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ნოემბრამდე.**

ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე) **რიგგარეშე.**

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1.სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა -**13 სხდომა** , საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება -**11სხდომა.**

2.სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი **20 სხდომა, დასწრება 18.**

3.სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)-0.

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა**-13 სხდომა**, საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება **12 სხდომა**.

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები - არა

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები :

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი;

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი ,

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა- **სხდომაზე წარმოდგენილი საკითხებს მხარს ვუჭერდი, თუმცა რიგ შემთხვევებში მქონდა გარკვეული სახის მოსაზრებები და შენიშვნები.**

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა **ყოველდღიურ რეჟიმში მაქვს კომუნიკაცია მოქალაქეებთან, შეხვედრებს ვმართავ როგორც ადგილზე მათი მოთხოვნის შესაბამისად, ისე ადმინისტრაციულ შენობაში.**

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები **მოქალაქეებთან შეხვედრებისას იკვეთება სხვადასხვა სახის პრობლემები, კერძოდ სხვადასხვა სახის ეკონომიკურ-სოციალური და საცხოვრებელი პრობლემები. მოუწესრიგებელი სანიაღვრე არხები და მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა. წვრილფეხა და მსხვილფეხა ცხოველების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე და ქუჩებზე გადაადგილება. საბავშვო გასართობი სკვერების, მოქალაქეთათვის გასართობი და დასასვენებელი თავშეყრის ადგილების მოწესრიგებისა და მოწყობის პრობლემები. საბავშვო ბაღებში გასართობი ინფრასტრუქტურითა და სათამაშოებით მომარაგების საკითხები. სპორტულ გამაჯანსაღებელი და კულტურულ საგანმანათლებლო სივრცეების შექმნის აუცილებლობა და სხვა.**

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები) - **პირველ რიგში, ადგილზე ვეცნობი გამოკვეთილ პრობლემას, შესაბამის სპეციალისტებთან ერთად რომლებიც ახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას/აღწერას და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფენ მის აღმოფხვრას შესაძლებლობების ფარგლებში. მოქალაქეებთან შეხვედრებისას მათ ვაწვდი ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესახებ, რომლითაც შეუძლიათ სარგებლობა. ვეხმარები მათ მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან და სხვა უწყებებთან კომუნიკაციაში. ასევე კომუნიკაცია გამაჩნია მუნიციპალურ სამსახურებთან როგორც მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან ასევე მერიის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებთან რომლებიც საქმიანობენ კულტურისა და სპორტის მიმართულებით რათა ხელმისაწვდომი იყვეს ყველა ჩოხატაურში მცხოვრები ბენეფიციარისათვის ის წრეები და სწავლების ჯგუფები რომლებსაც უზრუნველყოფს აღნიშნული სამსახურები. მოქალაქეებთან შეხვედრების დროს იკვეთება ისეთი წრეების არსებობის აუცილებლობა რომლებიც ხელს შეუწყობდა ჩვენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებას. აღნიშნული პრობლემების შესახებ იმართება მსჯელობები და შესაძლებლობის ფარგლებში ხდება ხელშეწყობა ყველა ამ მიმართულებების განსავითარებლად.**

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა **-საანგარიშო პერიოდში განვახორციელეთ რიგი პროექტები: რეაბილიტირდა დაბა ჩოხატაურში ნინოშვილის ქუჩის I ჩიხი. დასრულდა დუმბაძის ქუჩის შესახვევში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან ა/ბეტონის მოწყობა. დაბის ცენტში ეწყობა გარე ლედ განათების სისტემა, ამასთან თითქმის ყველა ქუჩაზე გამართულია გარე განათების სისტემა, განხორციელდა მდინარე ორპირას კეთილმოწყობითი სამუშაოები, რომელიც ორ ეტაპიანი იყო და შემდეგ საანგარიშო პერიოდში დასრულდება. მიმდინარეობს დაბაში გურიის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია და შენობის მიმდებარედ სარინელისა და ა/ბეტობის საფარის მოწყობა, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების უმეტესი ნაწილის განხორციელება ამ მომენტისთვის მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში დასრულდება . ამასთან, საკრებულოს წევრებთან ერთად ვახორციელებ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგს.**

2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელება. მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში მოქალაქეებს ჰქონდათ შესაძლებლობა თვითონ გადაეწყვიტათ რაში დახარჯულიყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 50, 000 ლარი. მე, როგორს ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრი უშუალოდ ვიყავი ჩართული სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვისა და განხორციელების პროცესში.

12. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ- **მომავალში, ისევ პრიორიტეტული იქნება მოქალაქეთა საჭიროებების კვლევა და ჩემი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში მათი აღმოფხვრა. ასევე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი მოწონებული პროექტების სრულად განხორციელება. დაბის ტერიტორიაზე წვრილფეხა ანდა მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის შემუშავება და აღსრულება. როგორც დაბის დეპუტატსა და ამასთანავე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გამაჩნია ჩემი შეხედულებები და ჩამოყალიბებული**

მოსაზრებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და საგანმანათლებლო მიმართულებების განვითარების კუთხით. რაზეც ვმუშაობ და ჩვენს გუნდთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ , რათა აღნიშნული პროექტები რეალიზებული იქნას მომდევნო წლებში.

ანგარიშის მომზადების თარიღი 20.10.2022

ანგარიშის წარდგენის თარიღი 24.10.2022

ჯუმბერი ბერძენიშვილი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე